



პროექტის მთავარი აღწერა



# ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელება საქართველოში

## ფაქტები და რიცხვები

### ბოლოალური მხატვრობა

- თუ სამშვიდობო პროცესებში ქალები ერთვებიან, 35 პროცენტით იზრდება ალბათობა, რომ მშვიდობა მინიმუმ 15 წლის განმავლობაში შენარჩუნდება (წყარო: მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტი)
- ქალთა მონაწილეობა სამშვიდობო მოლაპარაკებებში მშვიდობას ახანგრძლივებს და ამყარებს. ბოლოდროინდელი კვლევის თანახმად, 1989-2011 წლებში მიმდინარე 42 შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით ხელმოწერილი 82 სამშვიდობო შეთანხმების შესწავლით დადგინდა, რომ ხანგრძლივ მშვიდობასთან სწორედ ქალების მიერ ხელმოწერილი სამშვიდობო შეთანხმებები ასოცირდება. ამას გარდა, ამავე კვლევის მიხედვით, ქალი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი შეთანხმებები დებულებების შესრულების უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევა (წყარო: ი. კრაუსი, ვ. კრაუსი, და ფ. ბრენფორსი, 2018 წ.).
- კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებს შორის, ყველაზე სწრაფად ეკონომიკა აღდგა და სიღარიბე დაიძლია იმ ქვეყნებში, რომლებშიც ქალთა მონაწილეობა უფრო მეტად იყო გაძლიერებული (წყარო: გაეროს უშიშროების რეზოლუცია N1325-ის განხორციელების გლობალური კვლევა, 2015 წ.).
- 2019 წლის აგვისტოს მდგომარეობით, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმა გაეროს 81 წევრ სახელმწიფოს აქვს. ამ სამოქმედო გეგმებს შორის დამტკიცებისთანავე ბიუჯეტთან თანხა მხოლოდ 34-ს (43 პროცენტი) გამოეყო, 57 (72% პროცენტი) გეგმაში კი მონიტორინგისა და შეფასების პროცესია გაწერილი (წყარო: WILPF).

### საქართველო

საქართველომ 2011 წელს შეიმუშავა პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა გაეროს უშიშროების საბჭოს 1325-ე, 1820-ე, 1888-ე, 1889-ე და 1960-ე რეზოლუციების განხორციელების შესახებ.

ამჟამად საქართველო ასორციელებს მესამე ეროვნულ სამოქმედო გეგმას 2018-2020 წლებისთვის, რომელიც საზს უსვამს ლოკალიზაციის პროცესს ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებაში. ამავდროულად, იგი ადგილობრივ სტრატეგიებში, გეგმებსა და ბიუჯეტებში ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების საკითხების ინტეგრირებაში მუნიციპალიტეტების უფრო აქტიურ ჩართულობას მოიაზრებს.

2019 წლის მდგომარეობით, საქართველოდან ენევის საერთაშორისო დისკუსიებში ქალი წარმომადგენლების რაოდენობა ათიდან ორს შეადგენდა, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში კი - ოთხი მონაწილიდან ერთს (ზოგჯერ, 5 მონაწილიდან ორს) (წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი).

2019 წლის 23 აპრილს, ნიუ-იორკში გამართულ მაღალი დონის ღონისძიებაზე, საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის მიღებიდან 20 წლისთავისთვის ენევის საერთაშორისო დისკუსიებში ქალი წარმომადგენლების რაოდენობა 50 პროცენტამდე გაზარდოს.

## პროექტის შესახებ

რადგან მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ქალთა უფლებებისა და ფუნქციების წარმოჩენის მიმართულებით გაერომ მტკიცე ვალდებულება აიღო, გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განსახორციელებლად ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და შესრულებაში, ასევე, ხანგრძლივი მშვიდობის დასამყარებლად გაეროს მდგრადი განვითარების ნაციონალიზებული მიზნების მიღწევამდე.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტი „ქალთა ეფექტიანი მონაწილეობის გაძლიერება მშვიდობის მშენებლობის პროცესებში და გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება უსაფრთხოების სექტორში“ 2019 წლის აპრილში, გაერთიანებული სამეფოს კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის მხარდაჭერით დაიწყო. პროექტის მიზანია მშვიდობის დამყარების პროცესში ქალთა ეფექტიანი მონაწილეობის გაძლიერებასა და მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდაში წვლილის შეტანა საქართველოს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განსახორციელებლად.

### შედეგები

1. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებაში გაიზრდა დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონების შესაძლებლობები და მონაწილეობა.
2. გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირების მიმართულებით გაიზრდა უსაფრთხოების სექტორის ძირითადი პარტნიორების შესაძლებლობები პოლიტიკის დაგეგმვაში, პროცედურების შემუშავებასა და სამოქმედო დოკუმენტებში.

## განხორციელების სტრატეგია

პროექტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად გაეროს ქალთა ორგანიზაცია ინტეგრირებულ მიდგომას იყენებს, რაც პარალელურად მთავრობის ანგარიშვალდებულების გაძლიერების, ასევე, მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში ქალთა უშუალო და ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით კონფლიქტის პრევენციას, ტრანსფორმაციასა და მშვიდობის დამყარებას გულისხმობს.

პროექტის განხორციელების სტრატეგია, რომელსაც საფუძვლად გაეროს ქალთა ორგანიზაციის გლობალური გამოცდილება და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში პროგრამული ინტერვენციები უდევს, გაარდამტეხი ცვლილების მიღწევის მიზნით, ყურადღებას შემდეგ ძირითად სფეროებზე ამახვილებს:

**1. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ვალდებულებების განხორციელების-თვის ხელშეწყობი გარემოს შექმნა.** აღნიშნული მიმართულება შესაბამისი საჯარო მოხელეების გენდერული შესაძლებლობების გაძლიერებას მოიცავს, რაც შედეგად სახელმწიფო ორგანოების მიერ გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის დოკუმენტების, პროცედურებისა და სამოქმედო დოკუმენტების შემუშავებას, მონიტორინგსა და დაფინანსებას მოიტანს.

**2. ქალთა პირდაპირი და არსებითი მონაწილეობის უზრუნველყოფა და მონაწილეობის ხარისხის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე, ფორმალურ და არაფორმალურ დონეზე მიმდინარე სამშვიდობო პროცესებში შემდეგი გზით: ა) ოფიციალურ და არაოფიციალურ სამშვიდობო პროცესებში ჩართული ქალების უნარ-ჩვევების განვითარება მედიაგისა და მშვიდობის მშენებლობაში, რათა მათი მონაწილეობა ამ პროცესებში კიდევ უფრო გაიზარდოს; და ბ) მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირება, რომელიც სამშვიდობო პროცესებში ქალების ეფექტიანი მონაწილეობის, მშვიდობისა და უსაფრთხოებაში მათი წვლილის შესახებ ჩატარებულ კვლევას ეყრდნობა.**

**3. გენდერული პრინციპების ინტეგრირება უსაფრთხოების სექტორში** მთავრობის შესაძლებლობებისა და ძალისხმევის გაუმჯობესების გზით, რათა მის მიერ შემუშავებულ პოლიტიკის, პროცედურულ და სამოქმედო დოკუმენტებში გათვალისწინებული იყოს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება და ინსტიტუციონალიზაცია.

**4. ქალებისა და გოგონების, მათ შორის დევნილებისა და კონფლიქტით დაზარალებულების, პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობა მშვიდობის დამყარებისა და აღდგენისკენ მიმართულ ძალისხმევაში,** მათი უფრო მეტად წარმოჩენის, საჭიროებებისა და პრიორიტეტების გამოვლენისა და მონაწილეობის გაძლიერების გზით; ასევე, ქალებსა (უფლებებით მოსარგებლების) და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს შორის დიალოგის, მონიტორინგისა და ადვოკატირების პლატფორმების ორგანიზების მეშვეობით.

